პროლეტარიებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

18 აპრილი სამშაბათი 1972 წელი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 91 (15304)

საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ხუთწლედის ძირითადი ამოცანის წარმატებით განხორციელების — სოციალისტური ეკონომიკის მძლავრი აღმავლობის საფუძველზე ხალხის კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესების საწინდარია თქვენი თავდადებული შრომა!

ს ბ ჭ კ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

საპირველმაისოდ!

ᲛᲥᲡᲝᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲘ

თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკა დედაქალაქის მოწინავე საწარმოა. აქ ყოველდღიურად ათასობით მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მზადდება.

აქაური კოლექტივი ახალგაზრდულია. გამოცდილ მუშებთან ერთად რთულ მანქანებს წარმატებით მართავენ ახალგაზრდები.

იზოლდა ბახია საქსოვი ხაამქროს მოწინავე მუშაა. ყოველთვიურ გეგმებს 125-130 პროცენტით ასრულებს. საწარმოში დანერგილ ტექნიკურ სიახლეებს უურადღებითა და ინტერესით ეკიდება. მაგალითად, მან მოკლე დროში ათვისა უმაქოო პნევმატური საქსოვი დაზგა და ახლა თვიური გეგმით გათვალისწინებული 50 პროცენტი მაღალხარისხოვანი ქსოვილის ნაცვლად 65-67 პროცენტ ხაუკეთესო ხარისხის ქსოვილს უშვებს. თვეში მის მიერ დამზადებული პროდუქცია 12.000 მეტრს აღემატება. ხუთი დღის ნორმას ოთხ დღეში ასრულებს.

მეორეა დარო ელენა მოლოდინი. ... აქვს დაკავებული დროის მოცდენები. თუ ქსელის წყვეტიანობის ლიკვიდაციისათვის საჭიროა 35 წამი, იგი მხოლოდ 20 წამს ხარჯავს. სხვა ბრიგადების წევრებთან ჩაბმულია სოციალისტურ შეჯიბრებაში. ნაკისრი აქვს ვალდებულება აპრილის დავალება ერთი კვირით ადრე შეასრულოს.

ი. ბახაია ხაამქროს კომკავშირის ბიუროს მდივანია, არის სკკპ წევრობის კანდიდატი. ფაბრიკაში სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის გაშლილი შეჯიბრების ინიციატორია. დღეს მისი მაგალითით შრომობენ ლოლა ჭანკვეტაძე, რუხუდან ეპიტაშვილი, ზინა თუაევა. მათი შრომითი მაჩვენებლები უოველდღიურად იზრდება. გოგონების მიზანია გეგმებს ყოველდღიურად გადაჭარბებით ასრულებდნენ და მაღალხარისხოვან პროდუქციას უშვებდნენ.

ბ. კილაძე.

ᲕᲘᲨᲠᲝᲛᲔᲑᲗ ᲓᲐᲛᲙᲠᲔᲚᲣᲠᲐᲓ

სოციალისტური შეჯიბრების ახალი აღმავლობა გამოიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებმა. ეს დოკუმენტი სწორედ მაშინ გამოქვეყნდა, როცა მრრომელთა მრავალრიცხოვანმა კოლექტივებმა შაბათობა აღნიშნეს და მაღალი შრომითი ენთუზიაზმი აჩვენეს. აღებული ტემპი გრძელდება. ჩვენმა ბრიგადამ, რომელიც კომუნისტური შრომის კოლექტივის სახელს ატარებს, ვალდებულება იკისრა პირველი მაისის დღესასწაულამდე დარჩენილი დღეები დამკვრელური შრომით აღნიშნოს და თავისი წვლილი შეიტანოს ხუთწლედის დავალებათა ვადამდე შესრულების საქმეში.

ჩვენ მზად ვართ შევასრულოთ პარტიის მოწოდება, თავდადებით ვიბრძოლოთ წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

შ. დევსურაშვილი.
თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებლო ქარხნის საამქროს ზეინკლთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.

ᲒᲔᲒᲛᲐᲪ, ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲪ

საპირველმაისო შრომის ვახტზე რომ დადგა, ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვეტა აპრილის გეგმა 112 პროცენტით გაუღლდინა. ნაკისრი ვალდებულება შესრულდება, ამის საწინდარია თვითეული მრთველის მაღალი შრომის ნაყოფიერება, დავალებები დიდი გადაჭარბებით სრულდება. ჩემი ყოველდღიური დავალებების შესრულების მაჩვენებელი 130-135 პროცენტია. მაგრამ რაოდენობასთან ერთად დიდ ყურადღებას ვუთმობ პროდუქციის ხარისხს, ნაცვლად 80 პროცენტისა, ახლა 83 პროცენტ პირველი ხარისხის პროდუქციას ვუშვებ. ასეთ წარმატებას აღწევენ სხვა მრთველებიც. ჩვენი ბრიგადა ინტერესით გაეცნო სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებს და გადაწყვიტა თვის დავალება ერთი კვირით ადრე შეასრულოს.

ბ. ბალდავა,
თბილისის კომკავშირული დარბაზის ფაბრიკის სართავი ხაამქროს ბრიგადის ბრიგადირი.

პირველი მაისის შესახვედრად

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘ — ᲕᲐᲓᲐᲛᲓᲔ!

ᲙᲕᲚᲐᲕ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲐᲓ

ᲐᲮᲚᲝᲕᲔᲑᲐ პირველი მაისი — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღე. შრომისა და მშვიდობის ნათელ გაზაფხულის დღესასწაულს საბჭოთა ადამიანები ეგებებიან კომუნისტური მშენებლობის ახალ მიჯნებზე მდგომნი, ნიამაყის გრძნობით აღესილნი თავიანთი დიადი სოციალისტური სამშობლოსათვის, რომელიც განსახიერებს მოძმე ხალხთა ურღვევ მრავალეროვან თანამეგობრობას, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს — მილიონთა ძალებსა და შემოქმედებითს ენერგიას ამრავლებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გუშინ გამოქვეყნებული 1972 წლის საპირველმაისო მოწოდებანი — ლენინური პარტიის შთამბეჭდავი სიტყვა.

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად იბრძოლეთ სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის! სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავი აღვნიშნოთ ახალი მიღწევებით სოციალისტურ შეჯიბრებაში ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის!

ამ პატრიოტული მისწრაფებით ცხოვრობენ ახლა გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, საბჭოთა ინტელიგენცია, საბჭოების ქვეყნის ყველა ხალხი, რომლებიც პარტიამ შეაკავშირა კომუნიზმის მშენებელთა მძლავრ არმიად. ერთსულოვნად უჭერენ რა მხარს პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, ბეჯითად ახორციელებენ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებულ ქვეყნის შემდგომი განვითარების და მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების ფართო პროგრამას, ისინი თავდადებით განამტკიცებენ სამშობლოს ეკონომიურ და თავდაცვითს ძლიერებას. ეს განსაკუთრებული ძალით ცხადდო სრულიად საკავშირო კომუნისტურმა შაბათობამ, რომელიც გაიმართა ვ. ი. ლენინის დაბადების 102-ე წლისთავისა და სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად. „წითელი შაბათობა“ 15 აპრილს აღინიშნა ნამდვილი კომუნისტური შრომის მაღალი ნიმუშებით, ღირსეულად გააგრძელა დიადი თოსნობის ლენინური ტრადიციები.

მეცხრე ხუთწლიანი გეგმა შედგენილია იმის გათვალისწინებით, რომ დღეს და ხვალ ვიმუშავებთ უფრო კარგად, ვიდრე გუშინ, უზრუნველვყოფთ სამეურნეო მშენებლობაში ახალ თვისებრივ შემობრუნებას, რომელიც ყრილობამ მოითხოვა. პირველი მაისის წინ, მიმართავს რა მშრომელთა თვითეულ რაზმს, პარტია მოუწოდებს მათ მთელი ძალღონე მოახმარონ ხუთწლედის მთავარი ამოცანების გადაწყვეტას. მრეწველობის მუშაკებმა ყოველი ღონისძიებით უნდა ამაღლონ წარმოების ტექნიკური დონე და ეფექტიანობა, გაადიდონ ხახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება და ასორტიმენტი, უფრო სრულად გითვალისწინონ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი. მშენებელთა მოვალეობა ის არის, რომ დაჩქარონ ახალი ობიექტების გადაცემა საექსპლოატაციოდ, უფრო შეამცირონ სამუშაოთა თვითღირებულება და გაუმჯობესონ მათი ხარისხი. სოფლის შრომელთათვის უმნიშვნელოვანესი საქმეა უკეთ გამოიყენონ მიწა, ტექნიკა, შრომითი და მატერიალური რესურსები, რათა კიდევ უფრო გაზარდონ ყველა კულტურის მოსავლიანობა და მეცხოველეობის პროდუქტიულობა, ქვეყანას მისცენ მეტი იაფი პროდუქცია. ახლო პირველ პლანზე უნდა იდგეს ზრუნვა მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა — მომავალი წლის საფუძვლის მაღალი ხარისხისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი ყველა საბჭოთა ადამიანის ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა კიდევ უფრო გაადიდონ შრომის ნაყოფიერება, რაც შეიძლება ნაკლები დანახარჯენი შეასრულონ სახელმწიფო გეგმები, ზუსტად დაიცვან მომპირნეობის რეჟიმი, რაციონალურად გამოიყენონ სამუშაო დროის თვითეული წუთი. ამისათვის საჭიროა ბეჯითად დავეუფლოთ ეკონომიურ ცოდნას, მეურნეობრობის გაძღოლისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს, უფრო ფართოდ დანერგოთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, განვამტკიცოთ დისციპლინა და ორგანიზებულობა.

ჩვენს წარმატებებზე კომუნისტურ მშენებლობაში, საბჭოთა ხალხის შრომითს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ აქტივობაზე ბევრად არის დამოკიდებული „შრომის მსოფლიო, დიადი არმიის“ ძლიერება, სოციალიზმისაკენ მისი უძლეველი წინსვლის ტემპები.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპების ერთგული ხაბჭოთა კავშირი აქტიურად ანხორციელებს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების ლენინურ საგარეოპოლიტიკურ კურსს. სკკპ XXIV ყრილობის მიერ შემუშავებული პროგრამა, რომელსაც უწოდებს საბჭოთა პროგრამა მშვიდობისა, თანმიმდევრულად ბრრციელდება, მსოფლიო პოლიტიკის ქმედითი ფაქტორი გახდა.

საერთაშორისო დღესასწაულის — 1 მაისის წინ ჩვენი პარტია და ხალხი მხურვალე ინტერნაციონალურ სოლიდარობას უცხადებენ კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — მუშათა კლასის, ყველა მშრომელთა მებრძოლ ავანგარდს. დე ტაკიდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე! ძმურად მივესალმებთ სოციალისტური ქვეყნების ხალხებს და გამოვთქვამთ რწმენას, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — გადამწყვეტი ძალა ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში, მშვიდობისა და სოციალური პროგრესის ბურჯი — კვლავაც განუხრელად განვითარდება და განმტკიცდება. ჩვენ მივესალმებით ხალხთა ეროვნული და სოციალური განვითარებისათვის ყველა მებრძოლთ.

განვითარება დღევანდელ მსოფლიოში, მისი ხვალინდელი დღე ბევრად არის დამოკიდებული იმპერიალისტური აგრესიისა და საერთაშორისო დაძაბულობის საშიში კერების ლიკვიდაციასთან. მშობლიურ პარტიასთან ერთად საბჭოთა ადამიანები ერთსულოვნად უჭერენ მხარს გმირ ვიეტნამელ ხალხს, მამაც ლაოსელ და კამბოჯელ პატრიოტებს, რომლებიც უშიშრად იგერიებენ ამერიკის იმპერიალიზმის აგრესიას. ხაბჭოთა ქვეყნის მშრომელები შეერთებული შტატებისაგან მოითხოვენ დაუყოვნებლივ შეწყვიტონ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დაბომბვა, ბარბაროსული ომი ინდოჩინეთში, მთლიანად და უპირობოდ გაიყვანონ ამ რაიონიდან თავიანთი და სატელიტების ჯარები. ჩვენი ხალხი სოლიდარობას უცხადებს არაბი ხალხების სამართლიან ბრძოლას, გადაჭრით მოითხოვს ისრაელის აგრესიის შეწყვეტას ახლო აღმოსავლეთში, ისრაელის ჯარების გაყვანას ოკუპირებული რაიონებიდან. ამხილებს რა რეაქციისა და რევანშიზმის ძალების — საერთაშორისო დაძაბულობის შენელების მტრების ხრიკებს, სსრ კავშირი აქტიურად იბრძვის იმისათვის, რომ ევროპის კონტინენტი გადაიქცეს მტკიცე მშვიდობის, უშიშროებისა და ხახელმწიფოთა ნაყოფიერი თანამშრომლობის რაიონად.

ხაბჭოთა ხალხი, რომელიც პირველ მაისს ეგებება ძალებითა და რევოლუციური ოპტიმიზმით აღსავსე, პარტიისა და მისი ლენინური ცენტრალური კომიტეტის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული, მზად არის ჩაიდინოს ახალი გმირობა კომუნისტური იდეალების გამარჯვებისათვის, პარტიისა და ხალხის დიადი ურღვევი ერთიანობა ყველა ჩვენი ისტორიული მიღწევის, მომავალ წარმატებათა საწინდარია.

— მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ ლენინური გზით კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

ПРАВДА

17 აპრილის მოწინავე.

ᲩᲥᲐᲠᲘ ტემპით მიმდინარეობს მეტროპოლიტენის მშენებლობა ხაბურთალის მიმართულებით. ხაპირველმაისო შრომითს ვახტზე წარმატებებს აღწევს თბილგვირაბმშენის № 5 ხაგვირაბო რაზმის № 28 ხაბჭის კოლექტივი, რომელიც სადგურ „პოლიტექნიკურის“ ეტაკაზას ამონტაჟებს. ᲮᲣᲠᲐᲗᲘᲡ: ᲮᲐᲑᲭᲘᲡ მოწინავე მეტრომშენებლები (მარცხნიდან) ვ. ქერქაძე, სოციალისტური შრომის გმირი კ. ლუბავსკი და ი. ლანდინი მუშაობის დროს.

Ვ. ᲑᲔᲠᲖᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 17 აპრილი. (საკუთარი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იყო თურქეთში თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯ. სუნაის მოწვეგით, დღეს საშობლოში გაემგზავრა.

მასთან ერთად გაემგზავრნენ ნ. ვ. პოდგორნის თანმხლები ოფიციალური პირნი.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კავშირისა და თურქეთის ალმებით მორთულ სტამბოლის აეროპორტში **ნ. ვ. პოდგორნი** გაიცილეს საგარეო საქმეთა მინისტრმა **Ა. ᲑᲐᲘᲝᲣᲚᲘᲜᲘᲜ**, თურქეთის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში **Ა. ᲙᲣᲠᲩᲐᲚᲘ**, სტამბოლის ვილაიეთის გუბერნატორმა **Თ. ᲤᲝᲠᲘᲠᲐᲗᲘᲜᲘ**, თურქეთის სხვა ოფიციალურმა პირებმა, აგრეთვე სსრ კავშირის ელჩმა თურქეთში **ვ. Მ. ᲒᲠᲣᲜᲘᲐᲪᲕᲘᲚᲐ**.

ნ. ვ. პოდგორნმ და **Თ. ᲑᲐᲘᲝᲣᲚᲘᲜᲘᲜ** ჩამოუთრეს სალამო ყარაულის მწკრივს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მიერ პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში ნათქვამია: „სამშობლოში მიგვყავს დიდი შთაბეჭდილებები, რომლებიც მივიღეთ თურქეთში ყოფნის დროს, მისი ხალხის ცხოვრებისა და შრომის გაცნობის შედეგად. არ დაგვიგეწყდება, თუ რა დიდ სიმპათიებსა და მეგობრობას ინახავენ საბჭოთა კავშირისადმი აქ.

ჩვენს მოლაპარაკებს და საუბრებს პრეზიდენტ ჯ. სუნაისთან და თურქეთის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებთან, რომლებიც მიმდინარეობდა ურთიერთგაგების, გულწრფელობისა და კეთილმოსურნეობის ვითარებაში, ნაყოფიერი შედეგები მოჰყვა. დეკლარაცია სსრ კავშირისა და თურქეთის კეთილმეზობლური ურთიერთობის პრინციპების შესახებ, ერთობლივი კომუნიკე სახელით ახალ შესაძლებლობებსა და პერსპექტივებს რთავ კიდევ უფრო განმტკიცდეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის თანამშრომლობა ჩვენი მეგზაფნების ხალხთა ინტერესებისათვის, გაძლიერდეს საერთაშორისო უშიშროება.

საბჭოთა კავშირი გულწრფელად ესწრაფვის კეთილად იაროს მეგობრობისა და თურქეთთან კეთილმეზობლობის გზით. ჩვენ იმის მომხრე ვართ, რომ ფართოვდებოდეს პოლიტიკური ურთიერთობა, ვითარდებოდეს საგაჭრო-ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობა. მტკიცდებოდეს ჩვენი ქვეყნების კულტურული ურთიერთობა“.

ნ. ვ. პოდგორნმ თავის განცხადებაში თურქ ხალხს უსურვა კეთილდღეობა და წარმატებანი.

ᲡᲢᲐᲛᲑᲣᲚᲘ, 17 აპრილი. (საკუთარი). სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნმ თვითმფრინავიდან თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯევდეთ სუნაის გაუგზავნა შემდეგი დეპეშა: „ᲛᲔᲢᲠᲝᲕᲘᲗ რა ბეზობელი თურქეთის მიწაწყალს, მინდა ერთხელ კიდევ გადაგიხადოთ თქვენ, ბატონო პრეზიდენტო, თურქეთის რესპუბლიკის მთავრობასა და მოქალაქეებს გულითადი მადლობა გულთბილი მასპინძლობისა და სტუმართმოყვარეობისათვის, რაც გაგვიწევთ თქვენს ქვეყანაში.

გამოვიქვამენ რწმენას, რომ ჩვენი შეხვედრები და საუბრები, რომლებიც გაიმართა ურთიერთსაინტერესო მრავალ საკითხზე, ხელს შეუწყობენ სსრ კავშირისა და თურქეთის მეგობრული, კეთილმეზობლური ურთიერთობის შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების ინტერესებისათვის. თურქ ხალხს გუსურვებ წარმატებებსა და კეთილდღეობას“.

17 აპრილს მოსკოვში დაბრუნდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. ვ. პოდგორნი**, რომელიც თურქეთის რესპუბლიკაში იყო ოფიციალურ ვიზიტად პრეზიდენტ ჯევდეთ სუნაის მიწვეგვით.

ნ. ვ. პოდგორნისთან ერთად ჩამოვიდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე Ჯ. Ა. ᲮᲐᲚᲘᲚᲝᲕᲘ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საგარეო ეკონომიური ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე Გ. Ა. ᲮᲐᲩᲘᲙᲝᲕი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე Ვ. Ვ. ᲙᲣᲜᲪᲔᲕᲝᲕი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი არმიის გენერალი Ვ. Გ. ᲙᲣᲚᲘᲙᲝᲕი, სსრ კავშირის საგარეო ეკონომიკურ მინისტრის პირველი მოადგილე Ე. Თ. ᲡᲔᲛᲘᲩᲐᲡᲢᲜᲝᲕი.

ᲕᲜᲣᲙᲝᲕის აეროდრომზე ნ. ვ. პოდგორნს დახვდნენ ამხანაგები **დ. ხ. პოლიანსკი, ი. ვ. ანდროპოვი**, სხვა ოფიციალური პირნი.

(საკუთარი).

ᲓᲔᲙᲚᲐᲠᲐᲪᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲡᲐ ᲓᲐ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲙᲔᲗᲘᲚᲓᲔᲖᲝᲑᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘ�პᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯევდეთ სუნაი, ორივე ქვეყნის ურთიერთობაში ვ. ი. ლენინისა და ქ. ათათურქის მიერ დამკვიდრებული მშვიდობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის ტრადიციების შესაბამისად, დარწმუნებული არიან, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმეში,

მიაჩნიათ, რომ ორივე ქვეყანას შორის დაახლოება შეესაბამება მათ შორის, ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებისა და თანამშრომლობის განვითარების ინტერესებს,

ხელმძღვანელობენ სურვილით განაგითარონ ორ ქვეყანას შორის ნამდვილ ნდობაზე დამყარებული კეთილმეზობლობა და თანამშრომლობა,

გამოთქვამენ რწმენას, რომ დადებითი დამოკიდებულება თავიანთ ქვეყნებში კეთილდღეობის გაუმჯობესებისადმი, სტაბილურობისა და პროგრესისადმი არის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობს კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებას,

ადასტურებენ თავიანთ ერთგულებას მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროების განმტკიცების საქმისადმი,

ხაზს უსვამენ, რომ ეს დეკლარაცია ოდნავაც არ ეხება თვითეული მხარის მიერ მესამე ქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს და გამიზნული არ არის რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ,

აცხადებენ, რომ ორივე ქვეყანა თავის ორმხრივ და საერთაშორისო ურთიერთობას საფუძველად დაუდებს შემდეგ პრინციპებს:

1. განაგითარონ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა მშვიდობის, მეგობრობისა და კეთილმეზობლობის იმ ტრადიციების შესაბამისად, რომლებსაც საფუძველი ჩაუყარეს ვ. ი. ლენინმა და ქ. ათათურქმა;

2. პატივი სცეს სახელმწიფოთა სუვერენიტეტსა და თანასწორუფლებიანობას;

3. პატივი სცეს სახელმწიფოთა ტერიტორიულ მთლიანობასა და საზღვრების შეუვალობას;

4. არ ჩაერიონ სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში;

5. პატივი სცეს თვითეული ქვეყნის განუყოფელ უფლებას აირჩიონ და განავითარონ თავიანთი პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიური და კულტურული სისტემა;

6. არ გამოიყენონ ძალა თუ ძალის მუქარა, აგრეთვე არ დაუთმონ ვინმეს თავიანთი ტერიტორია აგრესიისა და სხვა ძირგამომთხრელი მოქმედებისათვის სხვა სახელმწიფოთა წინააღმდეგ;

7. პატივი სცეს ხელშეკრულებებიდან და საერთაშორისო სამართლის სხვა წყაროებიდან გამომდინარე ვალდებულებებს;

8. მოიწესრიგონ საერთაშორისო დავა მშვიდობიანი საშუალებებით

ᲐᲜᲙᲐᲠᲐ, 1972 წ. 17 აპრილი.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ შიმდინარე წელს 29 და 30 აპრილის დასვენების დღეები წინ უძღვის 1 და 2 მაისის ხაზეიმო დღეებს და, ამრიგად, მეტწილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ექნებათ ზედიზედ ოთხი არასამუშაო დღე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1972 წლის 29 და 30 აპრილი ჩაითვალოს სამუშაო დღეებად.

2. ორი დასვენების დღე (1972 წლის 29 და 30 აპრილი), რომლებსაც მუშები და მოსამსახურეები არ გამოიყენებენ, დაემატოს მათს ყოველწლიურ შვებულებას და ანაზღაურდეს იმავე წესით, როგორც შვებულების დღეები.

ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲓᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲒᲚᲔᲑᲘᲗ

17 აპრილს კრემლის დიდ სასახლეში გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მეორე გაერთიანებული სხდომა.

კომისიის წევრები განიხილავდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ კომისიათა დასაგენესათვის გადმოცემულ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულებას, რომელსაც ხელი მოაწერეს 1970 წლის 12 აგვისტოს.

კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. სუსლოვმა სიტყვა მისცა დეპუტატ ი. ბ. კაკლოვსკის, არმიის გენერალს, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილეს.

სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე დეპუტატებმა ა. ა. შულიმოვამ — თურქმენეთის სსრ კრასნოვოდსკის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის უფროსმა ოპერატორმა, შ. ა. სტელმასმა — კიეველმა მწერალმა, ა. ტ. ᲞᲘᲛᲔᲜᲝᲕᲘᲗ — საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა.

ყველამ მხარი დაუჭირა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების რატიფიკაციას.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა **შ. Ა. ᲡᲣᲡᲚᲝᲕᲘᲗ**.

ჩვენ, თქვა მან, მოვისმინეთ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ამხ. ა. ა. გრომიკოს გამოსვლა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების შესახებ, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების წევრთა გამოსვლები.

გამოსულმა დეპუტატებმა სამართლიანად აღნიშნეს, რომ 1970 წლის 12 აგვისტოს სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების დადება იყო ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო მოვლენა ამ ბოლო წლების მანძილზე.

ამ ხელშეკრულების მნიშვნელობა უწინარეს ყოვლისა ის არის, რომ იგი

(დასასრული 3Ე-ᲛᲔ ᲒᲕ.).

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

ᲘᲛᲘᲡᲗᲐᲜ დაკავშირებით, რომ შიმდინარე წელს 29 და 30 აპრილის დასვენების დღეები წინ უძღვის 1 და 2 მაისის ხაზეიმო დღეებს და, ამრიგად, მეტწილ საწარმოებსა და ორგანიზაციებს ექნებათ ზედიზედ ოთხი არასამუშაო დღე, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. 1972 წლის 29 და 30 აპრილი ჩაითვალოს სამუშაო დღეებად.

2. ორი დასვენების დღე (1972 წლის 29 და 30 აპრილი), რომლებსაც მუშები და მოსამსახურეები არ გამოიყენებენ, დაემატოს მათს ყოველწლიურ შვებულებას და ანაზღაურდეს იმავე წესით, როგორც შვებულების დღეები.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ.Შ. Ა. ᲐᲜᲐᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲘᲜᲐᲜᲡᲗᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲘᲜᲕᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი აცხადებს:

დანიშნოს ამხ. ფარნაოზ ანანიას-ძე **ანანიაშვილი** საქართველოს სსრ ფინანსთა მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე
Ბ. ᲙᲘᲠᲩᲘᲜᲘᲫᲔ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მდივანი
Შ. ᲙᲘᲠᲩᲘᲜᲘᲫᲔ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 1972 წლის 17 აპრილი.

ᲡᲐᲥᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

16 აპრილს ამერიკის შე

აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორთა ჯგუფების ხელმძღვანელთა სემინარი

17 აპრილს თბილისში სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის — საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში მუშაობა დაიწყო აგიტკოლექტივებისა და პოლიტინფორმატორების ჯგუფების ხელმძღვანელთა რესპუბლიკურმა ზონალურმა სემინარმა, რომელიც ეძღვნება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მზადებასთან დაკავშირებულ საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ამოცანების განხილვას.

სემინარის შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა მ. ა. ბოგომოლოვმა.

ხუთი დღის განმავლობაში სემინარის მონაწილეები მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს აქტუალურ თეორიულ საკითხებსა და პრაქტიკულ ამოცანებზე, რომლებიც გამომდინარეობენ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებიდან, „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის მზადების შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებიდან.

სემინარის მონაწილეები გაეცნობიან ქალაქ თბილისის საწარმოთა და დაწესებულებათა პარტიული ორგანიზაციების საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის გამოცდილებას.

სემინარის უკანასკნელ დღეს მოეწყობა ადგილებზე პარტიულ ორგანიზაციათა მიერ შექმენილი გამოცდილების განზოგადების საფუძველზე საააგიტაციო-მასობრივი მუშაობის ფორმებისა და მეთოდების შემდგომი სრულყოფის საკითხების განხილვა.

სემინარის მონაწილეებს უწევენებენ ახალ მხატვრულ ფილმებს. მოეწყობა ექსკურსიები საქართველოს ისტორიულ-რევოლუციურ ადგილებში, სხვა კულტურულ-მასობრივი ღონისძიებანი.

ანალოგიური სემინარები იმართება სოხუმში, ბათუმში, ქუთაისში.

(საქინფორმი).

ჯარსკული ცხოვრება

ძრ ო ნ ი კ ე ბ ი

△ პროკურატურის ანგარიში რაიკომს △ თეორიულ-ეკონომიური კონფერენცია △ ახალგაზრდა კომუნისტების შეკრება △ საქალაქო კომიტეტი და გაზეთი.

ჯალტაგო. (საკ. კორ.). ამას წინათ პარტიის რაიკომის ბიუროომ მოისმინა და განიხილა რაიონის პროკურატურის ანგარიში დამნაშავეობის და მისი გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის დარგში გაწეული მუშაობის შესახებ.

როგორც აღინიშნა, უკანასკნელ ხანს სერიოზული ღონისძიებანი განხორციელდა დანაშაულის აღკვეთისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის, გაძლიერდა სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდა. რაიონის პროკურატურის ძალებით გასულ წელს იურიდიულ თემებზე მოეწყო 150 ლექცია და საუბარი, კითხვა-პასუხის 14 საღამო, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საკითხებს მიეძღვნა სასოფლო ყრილობები.

მაგრამ ამ საქმეში ყველაფერი რიგზე როდია. ჯერ კიდევ ნაკლები უურადღება ექცევა განსაკუთრებით არასრულწლოვანთა შორის დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლას, არის საქმეთა გამოძიების გაჭიანურებისა და დანაშაულობათა გაუხსნელობის ფაქტები.

პარტიის რაიკომმა დასახა ღონისძიებანი რაიონის პროკურატურის მუშაობის შემდგომი გაუმჯობესებისა და მის საქმიანობაში საზოგადოებრიობის აქტიური მონაწილეობისათვის.

ზესტაფონი. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომმა კაბელების ქარხანაში ჩაატარა თეორიულ-ეკონომიური კონფერენცია.

მოხსენებით თემაზე — „სკკპ XXIV ყრილობა სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფის ამოცანებზე“. — გამოვიდა ზესტაფონის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე მ. სარალიძე.

თანამოსხსენებენი წაიკითხეს საქართველოს კპ ზესტაფონის რაიკომის ინსტრუქტორმა თ. კირვალიძემ და ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საგვემო განყოფილების უფროსმა ა. გვალიამ. მათ გააშუქეს თემები — „ეკონომიური სტიმულირება წარმოების ეფექტიანობის ამაღლების მნიშვნელოვანი ბერკეტია“, „დაგეგმვა სახალხო მეურნეობის მართვის ძირითადი რგოლია“.

კონფერენციაზე განსაკუთრებით აღინიშნა მშრომელთა ეკონომიური განათლების გაუმჯობესების აუცილებლობა.

აბაშა. (საკ. კორ.). პარტიის რაიონულმა კომიტეტმა მოაწყო ახალგაზრდა კომუნისტების რაიონული შეკრება, რომელსაც დაესწრნენ აგრეთვე ძველი ბოლშევიკები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები. შეკრების მონაწილეებმა მოისმინეს პარტიის აბაშის რაიკომის პირველი მდივნის ნ. ჩაგუნავას საუბარი სკკპ წესდებაზე.

შეკრების მონაწილეებს ესაუბრნენ ძველი ბოლშევიკები კ. გაბუნია, ლ. გიგინეიშვილი, კ. ფრანგიშვილი, სუჯუნის კოლმეურნეობის მესამინდე, ახალგაზრდა კომუნისტი თ. გუგუშვილი.

ჭიათურა. (საკ. კორ.). საქართველოს კპ ჭიათურის საქალაქო კომიტეტის ბიურომ იმსჯელა გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციის მუშაობაზე. აღინიშნა, რომ გაზეთი პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების მხარდამხარ მრავალმხრივ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ქალაქის სახალხო მეურნეობის აღმავლობისათვის, ახალი ადამიანის ფორმირებისათვის მშრომელთა ინტერნაციონალური და სამხედრო-პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდისათვის გაზეთში ხშირად იბეჭდება საინტერესო მასალები სოციალისტური შეჯიბრებისა და მოწინავეთა გამოცდილების იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობის საკითხებზე.

ბიუროომ ამასთანავე აღნიშნა, რომ გაზეთი სრულყოფილად ვერ აშუქებს პირველადი პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების საქმიანობას. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას პარტიის ეკონომიური პოლიტიკის პროპაგანდა, მის ფურცლებზე არა ჩანს, თუ რამდენად ერკვევიან საწარმოთა ხელმძღვანელი მუშაკები წარმოების ეკონომიკაში, როგორ იბრძვიან ყმაწვილთა ბრიგადა და მოჭიქნეობისათვის. ნაკლებად იწერება შრომის მეცნიერული ორგანიზაციისა და შრომელთა სოციოლოგიური კვლევის თაობაზე.

გაზეთი იმვიათად აკვეყნებს კრიტიკულ წერილებს, თუმცა, როცა იბეჭდება კრიტიკული შენიშვნა, მასზე ზოგი ხელმძღვანელი ზერელე პასუხს იძლევა და ნაკლი გამოუსწორებელი რჩება. გაძლიერებას მოითხოვს მუშკორებთან მუშაობა.

ზოგიერთ გამოსულ ნომრებში არის კორექტურული და სტილისტური შეცდომებიც. სათანადო სიმაღლეზე ვერ დგას გაზეთის პოლიგრაფიული გაფორმება, ბეჭდვის ხარისხი.

საქალაქო კომიტეტის ბიუროომ გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქციის მუშაობის გასაუმჯობესებლად დასახა სათანადო ღონისძიებანი.

მეცნიერება — წარმოების სამსახურში

დავაჩქაროთ თევზის მომრავლება

თევზის საზღვაო მეურნეობისა და ოკეანოგრაფიის სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის, საქართველოს განყოფილების, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ზოოლოგიის ინსტიტუტისა და საქართველოს თევზის მრეწველობის საწარმოო სამმართველოს ერთობლივი ღონისძიებანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეგრეთ წოდებულ „ოქროს ბადეს“ ეწოდა ბერძენ ფილოსოფოსთა ერთ-ერთ ერთობლივ ნაშრომ-ტრაქტატ-ენციკლოპედიაში ბერძენ ფილოსოფოსთა ... ...

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ერთობლივი კომუნიკე

სსრკ უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა

ნ. ვ. პოდგორნი თურქეთში

თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის ჯევდეთ სუნაის მიწვევით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი 1972 წლის 11-დან 17 აპრილამდე ოფიციალურ ვიზიტად იმყოფებოდა თურქეთში.

ერთობლივ კომუნიკეში ნ. ვ. პოდგორნისა და ჯევდეთ სუნაის მოლაპარაკების შესახებ, კერძოდ, ნათქვამია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კმაყოფილებით აღნიშნეს კეთილმეზობლური კავშირურთიერთობის ხელსაყრელი და პოზიტიური განვითარება იმ ტრადიციების შესაბამისად, რომელთაც საძირკველი ჩაუყარეს ვ. ი. ლენინმა და ქ. ათათურქმა, დამოუკიდებლობის, ტერიტორიული მთელიანობის, ეროვნული სუვერენიტეტის, თანასწორუფლებიანობის, საერთაშორისო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე და დაადასტურეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ მეცადინეობა საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის სხვადასხვა დარგში ურთიერთობის შემდგომი განვითარების მიზნით.

მხარეებმა კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ მათი ეკონომიური და სავაჭრო ურთიერთობა წარმატებით ვითარდება ორივე ქვეყნის სურვილისა და ინტერესების შესაბამისად.

მათ აღნიშნეს, რომ 1967 წლის 25 მარტის სამთავრობაშორისო შეთანხმების ფარგლებში მიღწეული პროგრესის მეოხებით 1972 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა გოგირდმჟავის, ნავთობგადამამუშავებელი და მერნინ-ბოჭკოვანი ფილების ქარხნები. რაც შეეხება ალუმინის ქარხანას, მისი საექსპლოატაციოდ გადაცემა თიანეთის წარმოების ნაწილში გათვალისწინებულია 1973 წელს. მხარეებმა აღნიშნეს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამ სამრეწველოობიექტების თურქეთის ეკონომიკაში და საბჭოთა კავშირ-თურქეთის ეკონომიურ ურთიერთობაში. გარდა ამისა, ისინი ძირითადად შეთანხმდნენ, რომ ითანამშრომლონ ამ ქვეყნებსა და 2 მილიონი ტონა ფოლადის სიმძლავრის მეტალურგიული ქარხნის გასაფართოებლად, იმ რომ მომავალში ამ ქარხანამ 4 მილიონი ტონა ფოლადი წელიწადში.

საერთაშორისო პრობლემებზე აზრთა გაზიარების ფარგლებში, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, მხარეებმა აღნიშნეს თვალსაზრისის დამთხვევა მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო საკითხებში. საბჭოთა კავშირმა და თურქეთმა დაადასტურეს, რომ ეს ურთიერთობა ყოველი ღონე ეფარონ დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობის გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

მხარეებმა განიხილეს ევროპაში არსებული მდგომარეობა. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს უშიშროებისა და თანამშრომლობის თაობაზე ევროპის თანამრეთ მომზადების საკითხებს და კმაყოფილებით აღნიშნეს, რომ ხორციელდება დონისძიებანი, რომლებიც ელეს უწყობენ კონტინენტზე ნდობის ატმოსფეროს დამყარებას, იმედი გამოთქვეს, რომ მიღწეულ იქნება ასეთი პროგრესი ამ მიზნის გზაზე.

მათ ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, პოლონეთსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულმა ხელშეკრულებებმა, აგრეთვე 1971 წლის 3 სექტემბრის ოთხმხრივმა შეთანხმებამ ეფექტიანად შეუწყვეს ხელი ევროპაში დაძაბულობის შენელების ახალ ეტაპსაყრელ შესაძლებლობათა შექმნას. ორივე მხარემ აღნიშნა, რომ სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის დადებულ ხელშეკრულებებად ხელშეკრულებათა ძალაში შესვლა ხელს შეუწყობს მდგომარეობის გაუმჯობესებას ევროპის კონტინენტზე და მთელ მსოფლიოში.

მხარეებმა, აღნიშნეთა კომუნიკეში, განიხილეს გაერაღების პრობლემა და დაადასტურეს თავიანთი ნება, რომ ეფექტიან საერთაშორისო კონტროლს დაექვემდებარებული სრული განიარაღების, კერძოდ ატომური განიარაღების განხორციელება მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და უშიშროების რეალური გარანტია იქნებოდა.

მხარეებმა ხაზი გაუსვეს, რომ განიარაღების პრობლემა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ძირითადი პრობლემაა, რომ განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევა იქნებოდა სასარგებლო წვლილი მუშაობაში, რომელიც განიარაღების დარგში წარმოებს.

მხარეებმა საგრძნობი მიიჩნიეს რასობრივი დისკრიმინაციისა და კოლონიალიზმის ნაშთების სრული ლიკვიდაცია, სწორფი და ეფექტიანი შესრულება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დეკოლონიზაციისა და კოლონიური ქვეყნებისა და ხალხებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების შესახებ.

მხარეებმა დაწვრილებით განიხილეს ახლო აღმოსავლეთის დაძაბული მდგომარეობა და კვლავ გამოთქვეს წუხილი იმასთან დაკავშირებით, რომ კონფლიქტის განგრძობა სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობის საქმეს ახლო აღმოსავლეთის რაიონსა და მთელ მსოფლიოში. მათ დაადასტურეს, რომ მხარს უჭერენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ელჩ იარინგის მისიას. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ და თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაადასტურეს, რომ შეუწყნარებლად მიაჩნიათ ძალის გამოყენება ტერიტორიის შეძენისა და პოლიტიკური სარგებლობის მიღწევის მიზნით, აგრეთვე გადაწყვეტილებათა თავსმოხვევა მომხდარი ფაქტების მეთოდებით, და მოითხოვეს ისრაელის ჯარების გამოყვანა ოკუპირებული არაბული ტერიტორიებიდან უშიშროების საბჭოს 1967 წლის 22. ნოემბრის № 242 რეზოლუციის შესაბამისად. მათ დაადასტურეს, რომ საჭიროა სასწრაფოდ იქნეს მიღწეული კონფლიქტის პოლიტიკური გადაწყვეტა ამ რეზოლუციის საფუძველზე სამართლიანი და მტკიცე მშვიდობის დამყარების მიზნით. მათ მიაჩნიათ, რომ ამ გადაწყვეტამ უნდა უზრუნველყოს არაბული ქვეყნების კანონიერი უფლებები და ინტერესები.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ განიხილა სამხრეთ აზიის სუბკონტინენტის მდგომარეობა, რომელიც ფრიად დამაფიქრებელია. მათ აღნიშნეს, რომ საჭირო მშვიდობიანი მოწესრიგება მოლაპარაკების გზით ნდობისა და ურთიერთაგებულების საფუძველზე.

ორივე მხარემ ხაზი გაუსვა, რომ ვიეტნამში შექმნილი მდგომარეობა სერიოზულ შეშფოთებას იწვევს, გამოთქვეს რწმენა, რომ საჭიროა დაინტერესებულმა მხარეებმა რაც შეიძლება მალე მიაღწიონ ისეთ გადაწყვეტას, რომელიც უზრუნველყოფდა ვიეტნამელი ხალხის უფლებას თვითონ განსაზღვროს თავისი მომავალი.

მათ დაამოწმეს რწმენა, რომ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება მოლაპარაკების გზით ჯენევის 1954 წლის შეთანხმებათა საფუძველზე ხელს შეუწყობს მშვიდობისა და უშიშრობის დამყარებას ამ რაიონში.

მხარეებმა საფუძვლიანად გაუზიარეს ერთმანეთს აზრი კვიპროსის საკითხზე. თურქეთის მხარემ დაწვრილებით გააცნო მოვლენათა ბოლო დროის განვითარება. ორივე მხარემ გამოთქვა წუხილი ამ ამბების გამო. საბჭოთა კავშირმა და თურქეთმა დაადასტურეს თავიანთი პოზიციები კვიპროსის საკითხში, ისინი ილაშქრებენ ყოველგვარი ფორმის ენოსნის წინააღმდეგ, მოითხოვენ კვიპროსის პრობლემის მშვიდობიან გადაჭრას, კვიპროსის რესპუბლიკის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთელიანობის შენარჩუნებას კვიპროსის ორივე თემის — ბერძნული და თურქული თემების კანონიერ უფლებათა და ინტერესთა დაცვით, რაც უზრუნველყოფს მათ მშვიდობიან ცხოვრებას სრული უშიშროების ვითარებაში. მათ საჭიროდ მიიჩნიეს გაგრძელდეს თემთაშორის მოლაპარაკება, რომელიც უნდა მიმდინარეობდეს თანასწორუფლებიან საფუძველზე, და გამოთქვეს იმედი, რომ ეს მოლაპარაკება წარმატებით დამთავრდება.

კომუნიკეში კმაყოფილებით აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის ვიზიტი თურქეთში და ვიზიტის დროს გამართული მოლაპარაკება — საუბრები ახალი წვლილია საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობის განვითარების საქმეში.

(დასასრული).

გამსჭვალულია ზრუნვით როგორც სსრ კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხალხთა, ისე ევროპის სხვა ხალხების მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფისათვის.

საბჭოთა მხარის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერა მოწმობს, თუ რა განუხრელად ახორციელებს საბჭოთა კავშირი სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინურ პრინციპს, რომელიც საბჭოთა საგარო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი საფუძველია.

ეი რატომ არის, რომ ჩვენს მიერ განხილული ხელშეკრულება მოიწონა საგარო საქმეთა კომისიების აქ გამოსულთა ყველა წევრმა.

ამასთან დეპუტატების გამოსვლებში, ხელშეკრულების დადების გამო გამოთქმულ კმაყოფილების გარდა გაისმა გარკვეული შეშფოთებაც იმასთან დაკავშირებით, რომ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში მიმდინარეობს დიპკუსიები ამ ხელშეკრულების რატიფიკაციის გამო.

ამგვარი შეშფოთება საფუძვლიან გასაგებია. მოკლე ისტორიული პერიოდის განმავლობაში კაცობრიობამ გადაიტანა ორი მსოფლიო ომი, რომლებიც გერმანიის იმპერიალიზმმა გაანჩადა და ხალხებს აუარცხელი მსხვერპლი, უბედურება, ტანჯვა მოუტანა. ჰიტლერელთა ურდოებმა სისხლით მორწყეს ევროპა. ისინი აპირებდნენ ჩვენი კონტინენტი მთლიან საკონცენტრაციო ბანაკად ექციათ. როგორც ჩვენ ყველამ კარგად ვიცით და გვახსოვს, განსაკუთრებით მძიმე მსხვერპლი ვიიღეთ ამ ბოლო ომში საბჭოთა ხალხმა. მილიონობით საბჭოთა ადამიანმა, სხვა ხალხების წარმომადგენლებმა სიცოცხე შესწირეს ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენ არ გვინდა, რომ ამგვარი რამ კვლავ განმეორდეს. ხოლო ახალი ომი თანამედროვე დამანგრეველი იარაღის გამოყენებით ისეთ უბედურებას მოუტანდა ხალხებს, რომელიც ძნელია წარმოვიგინოთ.

ომისშემდგომი წლები, თუ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან ჩვენი ურთიერთობის განვითარებაზე ვილაპარაკებთ, ასევე არ გვაძლევს რაიმე საფუძველს დამშვიდებისათვის. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მმართველი წრეები, რომელთაც არა სურდათ გამოუტანათ სათანადო დასკვნები ისტორიის გაკვეთილებიდან, მრავალი წლის მანძილზე აღგენენ ომის შედეგების რევიზიის ავანტიურისტულ პოლიტიკას, რევანშიზმისა და მილიტარიზმის პოლიტიკას, საბჭოთა კავშირისა და ევროპის სხვა სოციალისტური ქვეყნების მიმართ მტრობის პოლიტიკას.

მთელი ეს ახლო წარსული, ცხადია, გვაძლევს გულმდგინედ მოვიფიქროთ ყოველი ნაბიჯი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიმართ, გამოვიჩინოთ ჯეროვანი სიფხიზლე და სიფრთხილე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ და უთმობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში არსებულ მდგომარეობას, მისი მმართველი წრეების პოლიტიკას, მუდამ ადევნებენ თვალს ამ ქვეყანაში პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის ევოლუციას. უკანასკნელი წლების განვითარების ანალიზი გვიჩვენებს, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ, რომელსაც კანცლერი ვ. ბრანდტი უდგას სათავეში, რეალიზმი გამოიჩინა ევროპის ვითარების შეფასებაში და თავის საგარეო პოლიტიკაში ითვალისწინებს თავისი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის მისწრაფებებს — ბოლო მოუღოს „ცივი ომის“ გადმონაშთებს. ხელი რომ მოაწერა ხელშეკრულებას, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობამ დადასტურა, რომ მზად არის შეიტანოს თავისი წვლილი როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, ისე ევროპის დაძაბულობის შენელების მიღწევის საქმეშიც.

რასაკვირველია, მიუხედავად ყოველივე ამისა, ჩვენ არ ვივიწყებთ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ძალების საქმიანობასაც, რომლებიც დაჟინებით ცდილობენ ხელი შეუშალონ თანამშრომლობისა და კეთილმეზობლობის დამყარებას საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან, კვლავ სულდგულობენ აუზიდნელი ილუზიებით რევანშისა და საზღვრების გადაკეთების შესახებ, ობსტრუქციას უწყობენ ყოველ ნაბიჯს ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევის, ევროპაში უშიშროების საიმედო სისტემის შექმნის გზაზე.

საბჭოთა მთავრობამ გადაწყვიტა დაედო ხელშეკრულება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობასთან მას შემდეგ, რაც გულდაგული აწონ-დაწონა ყველა ეს გარემოება. ჩვენ გვჯერა, რომ მშვიდობის ძალები ამ ხელშეკრულებას, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკის მთავრობას დაადასტურა, რომ მზად არის შეიტანოს თავისი წვლილი როგორც ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში, ისე ევროპის დაძაბულობის შენელების მიღწევის საქმეშიც.

ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის ძირითადი საკითხია იმ პოლიტიკურ და ტერიტორიულ რეალობათა აღიარება, რომლებიც მეორე მსოფლიო ომის შედეგად შეიქმნა.

ამიტომ მეტად მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების დამდები მხარეები ითვალისწინებენ და აღიარებენ ევროპის თანამდროინდელ საზღვრების ურღვევობას. ხელშეკრულების მესამე მუხლში მათ განაცხადეს, რომ არავითარი ტერიტორიული პრეტენზიები არა აქვთ ვინმესადმი, არ წამოაყენებენ ასეთ პრეტენზიებს მომავალში და განუხრელად დაიცავენ ევროპის ყველა სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. ხელშეკრულებაში საგანგებოდ არის აღნიშნული, რომ ურღვევია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის დასავლეთი საზღვრები — ოდერ-ნოისეს ხაზი, აგრეთვე საზღვრები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის.

ამასთანავე მხარეებმა იკისრეს ვალდებულება, რომ ყველა საკითხში, რომლებიც ეხება ევროპასა და საერთაშორისო უშიშროებას, ისე როგორც ერთმანეთთან ურთიერთობაში, თავი შეიკავონ ძალით მუქარის თუ მისი გამოყენებისაგან.

რა თქმა უნდა, ხელშეკრულების პრაქტიკული მნიშვნელობა მთელი მოცულობით გამოვლინდება მისი რატიფიკაციის შემდეგ. მაგრამ ახლავე შეგვიძლია აღვნიშნოთ ის დიდი ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელი გახდა ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ; და ევროპის პოლიტიკური კლიმატის გაუმჯობესება, რომელიც ამას მოჰყვა.

საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ 1970 წლის დეკემბერში დადებული პოლონეთის სახალხო რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულება, 1971 წელს მიღწეული ოთხმხრივი შეთანხმება დასავლეთ ბერლინის შესახებ, რომელიც ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული კერის ლიკვიდაციას. დასავლეთ ბერლინის შეთანხმებამ დასახა აგრეთვე გზა ორი გერმანული სახელმწიფოს სრული თანასწორუფლებიანობის საფუძველზე გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი საკითხების მოწესრიგებისათვის.

ერთი სიტყვით, ხელშეკრულების დადების შემდეგ განვლილმა დრომ გვიჩვენა, რომ მისი ხასიათი, მასში ჩამოყალიბებული პრინციპები საკვანძოდ შეესაბამება ევროპაში დასასულ ტენდენციას დაძაბულობის შენელებისა და სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ქვეყნებს შორის კეთილმეზობლური ურთიერთობის განვითარებისადმი. ხელშეკრულება სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ერთხელ კიდევ

ლაში არ შეავ, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა [illegible] ... ეროვნებათა [illegible] ... ეროვნებათ [illegible] ... ეროვნებათ [illegible]

ტნიორი ვეღარ იქნება საბჭოთა კავშირისათვის ეკონომიურ ურთიერთობაში.

მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ გონიერი ძალები, რომლებიც გამოსახავენ ხალხთა მისწრაფებას მშვიდობისადმი, კერძოდ თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც, თავიანთ სიტყვას იტყვიან.

ამხანაგებო სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის 1970 წლის 12 აგვისტოს ხელშეკრულება, საბჭოთა კავშირის, ევროპის სხვა სოციალისტური და არასოციალისტური ქვეყნების ფართო საზოგადოებრიობამ მოიწონა როგორც დოკუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ჩვენი კონტინენტის მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

შემოგვაქვს წინადადება მოწონებულ იქნას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულება და რეკომენდაცია მიეცეს სსრ კავშირის უმაღლესს საბჭოს პრეზიდიუმს დამტკიცოს ეს ხელშეკრულება.

ხელშეკრულების განხილვა დამთავრდა. დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების შემდეგი დასკვნა სსრ კავშირსა და გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას შორის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ:

„სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა 1972 წლის 12 და 17 აპრილს გამართულ გაერთიანებულ სხდომებზე განიხილეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დასკვნისათვის გადმოცემული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს წინადადება 1970 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში ხელმოწერილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ, მოიწონეს ეს წინადადება და რეკომენდაციას აძლევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს რატიფიკაცია უყოს აღნიშნულ ხელშეკრულებას“.

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კომისიათა მუშაობაში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ფ. ი. კატუშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. სნეჭკუსი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი დეპუტატი ა. ა. გრომიკო.

კომისიათა სხდომას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე ფ. ა. სურმანოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პალატების თავმჯდომარეები ა. ა. შიტიკოვი და ი. ნ. ნასიდენოვა, სსრ კავშირის საპარლამენტო ჯგუფის გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასთან საპარლამენტო ურთიერთობის სექციის თავმჯდომარე დეპუტატი ლ. გ. ზამიატინი. (საკდესი).

ᲗᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲓᲦᲔ

ბრძოლები სამხრეთ ვიეტნამში

ნიუ-იორკი. 17 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ ვიეტნამში გრძელდება გაფართოებული ბრძოლები. ყველაზე დიდ ბრძოლა გაჩაღდა ანლოკისათვის — დიდმნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტი საიგონისაკენ მიმავალ № 13 გზაზე.

ამერიკის ავიაცია მასირებულად ბომბავს ამ რაიონს. მხოლოდ დღეს „ბ-52“ ტიპის ბომბდამშენებმა ათას ტონამდე ასაფეთქებელი ნივთიერებანი ჩამოაგდეს დასახლებულ რაიონებში ანლოკის გარშემო. „მფრინავმა ციხე-სიმაგრეებმა“, რომლებიც საკვდილსა და ნგრევასა თესავენ, დაბომბეს აგრეთვე სხვა პროვინციები.

როგორც საიგონიდან იუწყებიან, ამერიკის ქვეითი ჯარის ქვეგანყოფები დღეს იბრძოდნენ 16 კილომეტრზე პიუეს სამხრეთ-აღმოსავლეთით. ეს მოწმობს, რომ ბრძოლაში უშუალოდ მონაწილეობენ ამერიკელ აგრესორთა სახმელეთო ჯარებიც.

ამერიკის პრესა წერს, რომ ამერიკის სარდლობის სამხედრო ოლნასძიებანი გამოიწვია საიგონის არმიის მზარდმა ზარალმა. გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი“, რომელიც იუწყება, რომ ტაინინის პროვინციაში მიმდინარეობს ბრძოლები, აღიარებს: საიგონის 25-ე დივიზიის 49-ე პოლკს ისეთი დარტყმა მიაყენეს, რომ უკვე საკითხავია შეიძლება თუ არა ეს პოლკი საბრძოლო ერთეულად ჩაითვალოს.

პანმი, 17 აპრილი. (საკდესი). ყოველ დღე მოდის ახალი ამბები ამერიკა-საიგონის ჯარების წინააღმდეგ სამხრეთ ვიეტნამის პატრიოტული ძალების ბრძოლის შესახებ.

გუშინ რაკეტები და ნაღმსატყორცნთა ცეცხლი დაუშინეს ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საპაერო ბაზას კამრანში. პატრიოტებმა იერიში მიიტანეს მტრის პოზიციებზე ბინდინის, ფუიენის, ქანგჩოის პროვინციებში.

განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა 13 აპრილს კონტუმის პროვინციაში არტილერიის ძლიერი ცეცხლი დაუშინეს „ჩარლის“ ბაზას. გუშინ მტრის ვერც ერთი ვერტმფრინავი ვერ დაეშვა ამ ბაზაში, რომელსაც ალყა შემოარტყეს განთავისუფლების სახალხო შეიარაღებული ძალების მებრძოლებმა. პატრიოტებმა იქ ჩამოაგდეს მოწინააღმდეგის ორი თვითმფრინავი.

24 კილომეტრზე დანანგის სამხრეთით განთავისუფლების ძალების არტილერიამ ცეცხლი დაუშინა მოწინააღმდეგის ჯარებს ქალაქ ჰოიანში — „ტენგნამის პროვინციის ცენტრში.

9 აპრილის მონაცემებით, ლოკნინის რაიონში მაორიენტთა ჯარებს დაუხოცეს 1.100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜᲘ — სენატორი ე. მასკი აპრიტიკებს

17 აპრილი. (საკდესი). ჰაიფონის დაბომბვა ნიშნავს, რომ შეერთებული შტატები კიდევ უფრო ღრმად ჩაება საშიშ ომში, განაცხადა კომპანია „ეი-ბისის“ სატელევიზიო პროგრამაში „კითხვა-პასუხი“ დემოკრატიული პარტიისგან პრეზიდენტობის კანდიდატმა სენატორმა ე. მასკიმ.

მასკიმ დაგმო ეგრეთ წოდებული „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკა, რომელსაც გარდუვალად მოჰყვება სამხედრო კონფლიქტის გაჭიანურება.

ის, რაც ახლა ვიეტნამში ხდება, ამ მცდარი პოლიტიკის გარდუვალი შედეგია, თქვა მან. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები ვიეტნამიდან და შეწყვიტოს ომი.

მან პრეზიდენტ ნიქსონს მოუწოდა მისცეს მითითება ამერიკის წარმომადგენლებს პარიზში — განაახლონ მოლაპარაკება ვიეტნამის შესახებ.

ᲑᲝᲜᲝ — დეპუტატი — ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲡᲡ-ᲔᲚᲘᲐ

17 აპრილი. (საკდესი). ბონოვერის რაიონის 40-ზე მეტმა მღვდელმა მოითხოვა, რომ ბუნდესტაგის დეპუტატმა ქრისტიან-სოციალ-დემოკრატიული კავშირისაგან ფირქსმა უარი თქვას თავის საპარლამენტო მანდატზე.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფირქსი იყო „სს-ის სამუშაო შტაბის“ წევრი და მონაწილეობდა პოლონელ გლეხთა დეპორტაციაში, ამასთან მოითხოვდა გამოერჩინათ „სიმკაცრე და შეუდრეკელობა“ და „ბოლოსჯოვებივით“ გაეტანატათ პოლონელები“.

როგორც აღნიშნულია მოვდელთა მიმართვაში, საჭიროა წინააღმდეგნენ იმას, რომ ფირქსის მსგავს ადამიანებს შესაძლებლობა ჰქონდეთ საბოტაჟი გაუწიონ შეთანხმების პოლიტიკას, რომელსაც ბრანდტის მთავრობა ახორციელებს.

ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲝᲛᲘᲗ ᲒᲛᲝᲑᲔᲑᲘ

პარიზი. 17 აპრილი. (საკდესი). საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ, შრომის საყოველთაო კონფედერაციამ, საფრანგეთის მშვიდობის მოძრაობამ და სხვა პროგრესულმა ორგანიზაციებმა პრესისათვის გაკეთებულ განცხადებაში გულისწყრომით დაგმეს ამერიკის საბრძოლო-საჰაერო ძალების მიერ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქ ჰანოის გარეუბნებისა და ჰაიფონის ნავსადგურის დაბომბვა.

„მაშ შემდეგ, რაც ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ საბოტაჟი გაუწია პარიზის თათბირს ვიეტნამის შესახებ და მას შემდეგ რაც აგრესორმა მთელი რიგი დამარცხებანი განიცადა სამხრეთ ვიეტნამში, რამაც დაადასტურა „ვიეტნამიზაციის“ პოლიტიკის ჩაფუშვა, ომის ეს ახალი ესკალაცია კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას ინდოჩინეთში“, — განაცხადა საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრმა რაიმონ გიუიომ.

სანტიაგო. 17 აპრილი. (საკდესი). აფართოებს რა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე ამერიკის აეროციის საჰაერო თავდასხმების ესკალაციას, ამერიკის შეერთებული შტატები ამით აბუჩად იგდებს მსოფლიო საზოგადოებრივ აზრს და თვით ამერიკელ ხალხს, რომელიც მოითხოვს, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ შეწყვიტოს აგრესია ინდოჩინეთის ხალხთა წინააღმდეგ და მთლიანად გაიყვანოს ჯარები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან. წერს სარდაქციო სტატიაში ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური ორგანო გაზეთი „სიგლო“.

„ᲐᲞᲝᲚᲝᲜ-16“ ᲛᲘᲤᲠᲘᲜᲐᲕᲡ ᲛᲗᲕᲐᲠᲘᲡᲐᲙᲔᲜ

ნიუ-იორკი. 17 აპრილი. (საკდესი). გუშინ დაახლოებით 21 საათზე მოსკოვის დროით კენედის კოსმოდრომიდან „ბატონ-5“ მატარებელი-რაკეტის საშუალებით გაუშვეს კოსმოსური ხომალდი „აპოლონ-16“, რომელშიც არიან კოსმონავტები ჯონ იანგი, ჩარლზ დიუკი და თომას მატინგლი.

დედამიწის ირგვლივ ორბიტაზე გასვლიდან დაახლოებით ორ-ნახევარი საათის შემდეგ ხომალდი მატარებელი-რაკეტის ძრავის გამოერთებითი ჩართვით გაიყვანეს მთვარისაკენ ფრენის ტრაექტორიაზე. შემდეგ ძირითადი ბლოკი მთვარის კაბინისგან გამოეყო რაკეტის მესამე საფეხურს. დედამიწიდან დაახლოებით 11 ათას კილომეტრზე მოხდა კოსმოსური ხომალდის ნაკეთურების გადაკეთება.

დაგეგმილია, **რომ 20 აპრილს** კოსმონავტები იანგი და დიუკი მთვარის კაბინით დაეშვებიან მთვარის ხილული მხარის სამხრეთ-აღმოსავლეთ წაწილის მთიან რაიონში, დეკარტის კრატერის ახლოს. მატინგლი დარჩება ძირითად ბლოკში მთვარისირგვლივ ორბიტაზე.

გათვალისწინებულია, რომ ჯონ იანგი და ჩარლზ დიუკი მთვარის ზედაპირზე დაეყოფენ 73 საათს, სამჯერ გავლენ მის ზედაპირზე ეხინი გამოიკვლევენ გარემო ლანდშაფტს, ივლიან ამავე „მთვარის უველგანვალეთი“, რომელსაც იყენებდნენ „აპოლონ-15“ ხომალდის კოსმონავტები.

მთვარის ზედაპირის კვლევის პროგრამაშია ვულკანური მოქმედების კვალის ძებნა. მეცნიერებმა შესთავაზეს კოსმონავტებს სცადონ ამ თეორიის შემოწმება, რომლის მიხედვით მთვარის კრატერები დიდი ხნის წინათ ჩამქრალი ვულკანებია და არა, ღრმულები, რომლებიც შეიქმნა მეტეორიტების ჩამოვარდნის შედეგად, როგორც წინათ ფიქრობდნენ.

პროგრამის თანახმად „აპოლონ-16“ დედამიწაზე უნდა დაბრუნდეს 28 აპრილს.

ხომალდის მეთაური ჯონ იანგი კოსმოსის კვლევის ამერიკული პროგრამის ვეტერანია. იგი 41 წლისაა, ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ძალების კაპიტანია. მან ორჯერ იფრინა „ჯემინის“ ხომალდებით 1962 და 1966 წლებში. იყო აგრეთვე ძირითადი ბლოკის პილოტი „აპოლონ-10“ ხომალდზე. როცა 1969 წელს შემოუფრინეს მთვარეს.

„აპოლონ-16“ ხომალდის ძირითადი ბლოკის პილოტი თომას მატინგლი იყო „აპოლონ-13“ ხომალდის ეკიპაჟის შემადგენლობაში, მაგრამ ბოლო მომენტში ექიმებმა საჭიროდ დანახეს მისი შეცვლა. „აპოლონ-16“ ხომალდის ექსპედიცია პირველი გაფრენაა კოსმოსში 36 წლის ლეიტენანტის — სამხედრო-საზღვაო ძალების კომანდორისათვის.

მთვარის კაბინის პილოტი ჩარლზ დიუკი, სამხედრო-საპაერო ძალების 36 წლის პოდპოლკოვნიკი, აგრეთვე პირველად მიფრინავს კოსმოსში. იგი დუბლიორი იყო „აპოლონის“ პროგრამის ერთ-ერთი გაფრენის დროს.

თბილისი-ერევანი

ტრადიცია გრძელდება და ვითარდება

50

რამდენიმე დღეა ჩვენი დედაქალაქი მასპინძლობს ერევნელ სტუმრებს — სომხეთის ოპერისა და ბალეტის ხელოვნების ოსტატებს, რომლებმაც უკვე მოიპოვეს მსმენელთა პატივისცემა. ამ დღეებში ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში თბილისელი მუსიკის მოყვარულები ეცნობიან მომე რესპუბლიკის ხელოვნებას.

საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გასცეთ ჩარმოდგენებს საქართველოსა და სომხეთის ოპერისა და ბალეტის თეატრალურ დასებს შორის.

12 აპრილს დაიწყო ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მსახიობების საუკეთესო წარმომადგენელთა გამოსვლები თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე. ადანის ბალეტ „ჟიზელში“ ქართველ მოცეკვავეებთან ერთად გამოდიოდნენ ერევნელი სტუმრები. ჟიზელის პარტიას ასრულებდა ე. მნაცაკანიანი, გრაფის როლში ვიხილეთ სომხეთის ხსრ სახალხო არტისტი ვ. გალსტიანი.

13 აპრილს მაყურებელმა გულთბილად მიიღო კ. დონიცეტის ოპერა „ლუჩია დი ლამერმური“. სხრკ სახალხო არტისტმა, სახელმწიფო პრემიის ლაურეატმა გ. გასპარიანმა წარმატებით შეასრულა ლუჩიას პარტია. სხვა წამყვან პარტიებში გამოდიოდნენ სომხეთის სხრ სახალხო არტისტი ა. კარაპეტიანი და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ტ. ლევონიანი.

კვირას მინკუსის ბალეტ „დონ კიხოტში“ ვიხილეთ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ვ. გალსტიანი და ხ. ვართანიანი, რომლებსაც პარტნიორობას უწევდნენ ქართველი მსახიობები.

ჯ. ვერდის „ტრუბადურის“ მოსმენა ოპერის მოყვარულებს დღეს, 18 აპრილს შეუძლიათ. ისინი გაეცნობიან სომხეთის სხრ სახალხო არტისტების გ. ერკათის, ე. მიქაელიანის, ტ. ლევონიანის, გ. გალაჩიანის ხელოვნებას.

და, ბოლოს, 20 აპრილს ჯ. ვერდის „აიდაში“ მთავარ პარტიებს შეასრულებენ სომხეთის სხრ სახალხო არტისტები ე. მიქაელიანი (აიდა), ხ. დანელიანი (რადამესი), გ. გალაჩიანი (ამნერისი), გ. ერკათი (ამონასრო).

სხრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავად გასცეთ წარმოდგენებს გამართავენ ერევნის ა. სპენდიაროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ქართველი მომღერლები და მოცეკვავეები. გუშინ, 17 აპრილს სომხეთის დედაქალაქის საოპერო თეატრის სცენაზე მინკუსის ბალეტ დონ კიხოტში“ მთავარი პარტიები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა ი. ჯანდიერმა და ბ. მონავარდისაშვილმა.

მანამდე, 12 აპრილს ვერდის ოპერა „დონ კარლოსში“ სომეხი მაყურებლების წინაშე ფილიპის პარტიით წარსდგა რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი თ. ლაფერაშვილი.

დღეს „ტრუბადურში“ ერევნელები მოუსმენენ სხრ კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო და ფალიაშვილის პრემიების ლაურეატს პ. ამირანაშვილს, საქართველოს სახალხო არტისტებს მ. ამირანაშვილს, ნ. ანდღულაძეს.

მომმე რესპუბლიკის საოპერო თეატრის სცენაზე წარსდგება რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია. იგი 19 აპრილს „ლუჩია დი ლამერმურში“ შეასრულებს ლუჩიას პარტიას.

ჩვენ ვთხოვეთ ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირიჟორს, რესპუბლიკის სახალხო არტისტს დ. მჭედლიძეს რამდენიმე სიტყვა ეთქვა ამ მნიშვნელოვანი კულტურული ღონისძიების შესახებ. ი ი რა გვითხრა მან:

— ჩვენი თეატრის კოლექტივი ამჟამად ემზადება სხრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის შესახვედრად. სახელოვან იუბილეს მიეძღვნა ახალი დადგმები. რამდენიმე მათგანი უკვე ნაჩვენები იქნა. სხვებს კი მომავალში იხილავს მაყურებელი.

იუბილეს მიეძღვნა შემოქმედებითი კოლექტივების გაცვლა თბილისსა და ერევნის საოპერო და საბალეტო თეატრებს შორის. თბილისელებმა გულთბილად მიიღეს მომმე რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატები. ერევნის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტები წარმატებით გამოდიან ჩვენს სპექტაკლებში.

ქართველი ოსტატები თავის მხრივ გაემგზავრნენ სომხეთის დედაქალაქში, სადაც წარმატებით გამოდიან. შემდეგ ქართველი მომღერლები გაემგზავრებიან რიგაში. ლიტვის დედაქალაქში ვიოლეტას პარტიას ოპერა „ტრავიატაში“ შეასრულებს რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ჭყონია, ხოლო „აიდაში“ — წამყვან პარტიებში გამოვლენ სხრკ სახალხო არტისტი ზ. ანჯაფარიძე და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ც. ტატიშვილი.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ შემოქმედებითი კოლექტივებს გაცვლა ძალიან კარგი ღონისძიებაა. ეს ხელს უწყობს მეგობრული ურთიერთობის გამტკიცებას, მომმე ხალხთა ურთიერთთანამშრომლობას. ჩვენ ვისურვებთ, ორი მომმე ხალხის ტრადიციული ურთიერთობა კიდევ უფრო განმტკიცდეს და განვითარდეს.

მ. ლომაძე.

„ კომუნისტის“ ინტერვიუ

ფერთა ზეიმი

გუშინ დაიწყო ქართული ხელოვნების „კვირეული“

გუშინ ჩვენს რესპუბლიკაში დაიწყო სსრ კავშირის ... ეროვნული ხელოვნების „კვირეული“, რომელიც 23 აპრილამდე გაგრძელდება. გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა სთხოვა საქართველოს მხატვართა კავშირის თავმჯდომარეს, სბჭოთა კავშირის სახალხო მხატვარს უჩა ჯაფარიძეს მოეთხრო იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია „სახვითი ხელოვნების კვირეულის“ დღეებში.

□ □

—საქართველოს მხატვართა კავშირი, — თქვა უ. ჯაფარიძემ, — თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმსა და ცხინვალში აწყობს სახვითი ხელოვნების კვირეულს, რომელიც სბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს ეძღვნება. ამ დღეებში სახელმწიფო სურათების გალერეაში ეწყობა „საგაზაფხულო გამოფენა“, ექსპოზიციაში წარმოდგენილი იქნება ქართველი მხატვრების ახალი ნამუშევრები. თბილისის აბრეშუმსაქსოვ ფაბრიკაში გაიმართება ჩვენი მხატვრების ნამუშევართა მოძრავი გამოფენა, შეხვედრები საწარმოს მუშა-მოსამსახურეებთან. აქვე ჩატარდება ლექცია თემაზე — „თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება“.

ქართველი მხატვრები ესტუმრებიან თბილისელ მეტრომშენებლებს, ახლოს გაეცნობიან გვიჩვენებენ ... ნამუშევრებს, ნატურიდან გაკეთებულ მოწინავეთა ჩანახატებს. შემდგომ კი მეტროპოლიტენის კლუბში მოეწყობა ამ სახელდახელოდ შექმნილი ნამუშევრების ექსპოზიცია.

კვირეულის დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ბევრი მოყვარული ეწვევა გამოჩენილი ქართველი მხატვრების ე. ახვლედიანის, დ. კაკაბაძის, კ. მერაბიშვილის, შ. მიქაუტაძის, ე. ბაღდავაძის, ი. ოჩიაურის, კ. გურულის, ნ. იანჭოშვილის სახელოსნოებს. კინოთეატრებში აჩვენებენ ფილმებს, რომლებიც სახვით ხელოვნებას ეძღვნება, ხოლო იმათ, ვინც დაინტერესებული ... ფერწერული, გრაფიკული, ჭედური ნამუშევრების შეძენით, ამ დღეებში შეუძლიათ ეწვიონ საქართველოს სამხატვრო ფონდს, სადაც მოეწყობა ჩვენი მხატვრების ... ნამუშევრების ... ეროვნული ... გამოფენა-გაყიდვა.

ცნობილ ქართველ მხატვრებს უმასპინძლ ე ბ ს ტელევიზია, სადაც დიდი აუდიტორიის წინაშე გამოვლენ და „სახვითი ხელოვნების კვირეულის შესახებ“ გვესაუბრებიან ფუნჯისა და საქრელის გამოჩენილი ოსტატები. ისინი გაგვიზიარებენ იქრეთვე თავიანთ შემოქმედების გეგმებს.

მოეწყობა ექსლიბრისების გამოფენა გამომცემლობა „მერანის“ სალონში. ხელოვნების მუზეუმთა სახლის საგამოფენო დარბაზში გაიხსნება ახალგაზრდა მხატვრის მ. მალაზონიას პერსონალური გამოფენა.

23 აპრილს საქართველოს სახელმწიფო სურათების გალერეაში გაიმართება სახვითი ხელოვნების კვირეულის საზეიმო დახურვა. როგორც ჩანს, „კვირეული“ ნამდვილ საინტერესო და მრავალფეროვანი იქნება!

დიპლომები და ჯილდოები საუკეთესო წიგნებს

შეაჯამეს წიგნების საუკეთესო გაფორმებისა და მათი პოლიგრაფიული შესრულებისათვის გამოცხადებული რესპუბლიკური კონკურსის შედეგები. კონკურსის ჟიურიმ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის შ. ნებსაძის თავმჯდომარეობით დიპლომებით დაჯილდოვა წიგნები და შეარჩია საუკეთესონი მე-13 სრულიად საკავშირო კონკურსში მონაწილეობისათვის.

კონკურსზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის გამომცემლობების მიერ გამოშვებული 30 წიგნი. **პირველი ხარისხის დიპლომებით** დაჯილდოდა ექვსი წიგნი. მათ შორის: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ მიერ ინგლისურად გამოცემული „ვეფხისტყაოსანი“ (დიპლომები მიეკუთვნა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს საუკეთესო პოლიგრაფიული შესრულებისათვის და მხატვარ ზ. კაპანაძეს), გალაკტიონ ტაბიძის რჩეული ლირიკის ორტომეული (დიპლომები მიეკუთვნა ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს პოლიგრაფიული შესრულებისათვის და გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ — გამოცემის ინიციატივისათვის), ლადლერის „ქართული ხალხური ეპოსი“ (დიპლომები მიეკუთვნა მხატვრულ გაფორმებისათვის მხატვარ ვ. ონიანს, მხატვრულ რედაქტორს დ. დონდუას, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ — გამოცემის ინიციატივისათვის), ქართული საბჭოთა პოეზიის ანთოლოგია რუსულ ენაზე (დიპლომები მიეკუთვნა გამომცემლობა „მერანს“ გამოცემის ინიციატივისათვის, ბეჭდვითი სიტყვის კომბინატს — პოლიგრაფიული შესრულებისათვის), გამომცემლობა „ხელოვნების“ მიერ გამოცემული „ქართული ხელნაწერები“ (დიპლომი მიეკუთვნა ფერადი ბეჭდვის სტამბას პოლიგრაფიული შესრულებისათვის); გამომცემლობა „მერანის“ მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ქართული ხალხური ზღაპრები (დიპლომი მიეკუთვნა მხატვარ გ. კალაძეს მხატვრული გაფორმებისათვის).

პირველი ხარისხის დიპლომებით დაჯილდოდნენ პლაკატ „ქართული ანბანის“ გამოშვებისათვის ოფსეტური ბეჭდვის ფაბრიკა, მხატვრები წ. ცინცაძე და ზ. კაპანაძე (გამომცემლობა „მერანი“).

მეორე ხარისხის დიპლომებმა მიეკუთვნა ხუთ წიგნი, ხოლო **მესამე ხარისხისა** — ცამეტს.

კონკურსის ჟიურიმ ფულადი პრემიებით დაჯილდოვა პოლიგრაფიოსტები და გამომცემლობათა მუშაკები. (საქინფორმი).

□ □

მიფრინავს „კოსმოსი - 486“

1972 წლის 14 აპრილს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მორიგი ხელოვნური თანამგზავრი „კოსმოს-486“. თანამგზავრზე დადგმული სამეცნიერო აპარატურა განაგრძობს კოსმოსური სივრცის კვლევას ამ პროგრამის შესაბამისად, რომელიც საჯდესმა გამოაცხადა 1962 წლის 16 მარტს.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. ნაკლორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას.

„ კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

თ ო ლ ი ე ბ ი — მ ე თ ე ვ ზ ე თ ა თ ა ნ ა მ გ ზ ა ვ რ ნ ი

ბ. ანჯელოს ფოტო.

აქინდი დღეს

დღეს, 18 აპრილს **დასავლეთ საქართველოში** მოსალოდნელია უნალეკო ამინდი, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 7-12 მეტრი სიძლიერის ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 24-29, მთაში 18-21 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ მთიან რაიონებში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელვეკენი, სუსტი ქარი, ტემპერატურა დაბლობ რაიონებში 23-28, მთაში 15-20 გრადუსი სითბო.

თბილისში იქნება ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალეკოდ, სუსტი ქარი, ტემპერატურა 26-28 გრადუსი სითბო.

ლიდერობს „ზარია“

კვირას ვოროშილოვგრადში გაიმართა საკავშირო ჩემპიონატის ერთი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის უმაღლესი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზარიასა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც 52-ე წუთზე ონიშენკომ გაიტანა დინამოელთა კარშა და თავის გუნდს 2 ქულა მოუტანა. „ზარიასათვის“ ეს იყო მესამე მატჩი და მესამე გამარჯვება, „დინამოსათვის“ — მეორე თამაში და მეორე დამარცხება.

ორ როგორ გამოიყურებოდა მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა გუშინდლამდე:

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	3	2	0	0	7-1	6
„ზენიტი“	3	2	1	0	7-4	5
ცსკა	3	2	0	1	5-3	4
„დინამო“ (კ.)	3	2	0	1	4-4	4
„ნეფტჩი“	3	2	0	1	3-3	4
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	1-0	3
„დნეპრი“	3	1	1	1	6-6	3
„დინამო“ (თბ.)	3	1	1	1	1-1	3
„დინამო“ (მნ.)	3	1	1	1	1-1	3
„არარატი“	2	1	0	1	5-1	2
„კაირატი“	3	0	2	1	1-2	2
„სპარტაკი“	3	1	0	2	2-4	2
„კარპატი“	3	1	0	2	2-4	2
„ტორპედო“	3	0	1	2	1-7	1
„დინამო“ (მ.)	2	0	0	2	0-2	0
ხკ	2	0	0	2	0-3	0

ოთხიდან ოთხი ქულა

გუშინ ქუთაისში გაიმართა წაკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩი ფეხბურთში „ა“ კლასის პირველი ჯგუფის გუნდებისათვის. თამაშობდნენ ადგილობრივი „ზარიასა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა გოლმა, რომელიც 52-ე წუთზე ონიშენკომ გაიტანა დინამოელთა კარშა და თავის გუნდს 2 ქულა მოუტანა. „ზარიასათვის“ ეს იყო მესამე მატჩი და მესამე გამარჯვება, „დინამოსათვის“ — მეორე თამაში და მეორე დამარცხება.

ორ როგორ გამოიყურებოდა მეტოქეთა სატურნირო მდგომარეობა გუშინდლამდე:

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ზარია“	3	2	0	0	7-1	6
„ზენიტი“	3	2	1	0	7-4	5
ცსკა	3	2	0	1	5-3	4
„დინამო“ (კ.)	3	2	0	1	4-4	4
„ნეფტჩი“	3	2	0	1	3-3	4
„ლოკომოტივი“	2	1	1	0	1-0	3
„დნეპრი“	3	1	1	1	6-6	3
„დინამო“ (თბ.)	3	1	1	1	1-1	3
„დინამო“ (მნ.)	3	1	1	1	1-1	3
„არარატი“	2	1	0	1	5-1	2
„კაირატი“	3	0	2	1	1-2	2
„სპარტაკი“	3	1	0	2	2-4	2
„კარპატი“	3	1	0	2	2-4	2
„ტორპედო“	3	0	1	2	1-7	1
„დინამო“ (მ.)	2	0	0	2	0-2	0
ხკ	2	0	0	2	0-3	0

მეორე წრე დაიწყო

სსრ კავშირის თუ ჩეხოსლოვაკიის ნაკრები? აი რა აინტერესებთ ჰოკეის მოყვარულებს. სწორედ ეს გუნდები არიან მსოფლიო ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები,, მათ ხომ ჯერ დამარცხება არ განუცდიათ.

მეორე წრის სტარტზე, როგორც ვიუწყებოდით, მასპინძლებმა — ჩეხოსლოვაკიელმა ჰოკეისტებმა დაამარცხეს შვეიცარიის გუნდი 12:2 და განმტკიცეს საჭუნაო მდგომარეობა, მაგრამ არც მსოფლიო ჩემპიონს, სსრ კავშირის ნაკრებს დაუთმია პოზიცია, მან მეორე წრის პირველ მატჩში სძლია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდს 7:0 და შაიბების უკეთესი სხვაობით ისევ გთამაშობს ცხრილის პირველ საფეხურზე ვხედავთ.

კვირას ლიდერები ისვენებდნენ. ამ დღეს პრაღის ყინულის მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ შვეიცარია და შვეიცარიის და ფინეთისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გუნდები. როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი საწარმოს მუშა-მოსამსახურეებთან. აქვე ჩატარდება ლექცია თემაზე — „თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნება“.

ქართველი მხატვრები ესტუმრებიან თბილისელ მეტრომშენებლებს, ახლოს გაეცნობიან გვიჩვენებენ ... ნამუშევრებს, ნატურიდან გაკეთებულ მოწინავეთა ჩანახატებს. შემდგომ კი მეტროპოლიტენის კლუბში მოეწყობა ამ სახელდახელოდ შექმნილი ნამუშევრების ექსპოზიცია.

კვირეულის დღეებში ჩვენი რესპუბლიკის სახვითი ხელოვნების ... ეროვნული ... ქართველი ... ეროვნული ... ეროვნული ... ეროვნული